



**საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
ეროვნული სატყეო სააგენტო  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA010116393039017

**18 / აგვისტო / 2017 წ.  
№ 594/ს**

**სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ განხორციელებული სპეციალური ჭრების შედეგად დამზადებული მერქნული რესურსის (წიფელის I-ხარისხი ჯიშის მრგვალი ხე-ტყე (მორი) – სულ 58.130- მ3 საკუთრებაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის (N172) გამოცხადების შესახებ**

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს #242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ 45-ე, 46<sup>1</sup>-ე, 47-ე, 48-ე, 52-ე მუხლების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 დეკემბრის N50 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2017 წლის 04 აგვისტოს დასკვნის N5004392017, სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 18 აგვისტოს N13/31883 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი N172 სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახურის მართვას დაქვემდებარებულ ხაიშის სატყეო უბნის, ხუბერის სატყეოს N44 კვარტალში ,(ლიტერი 7) სპეციალური ჭრების შედეგად დამზადებული 58.130 მ<sup>3</sup> ფოთლოვანი სახეობის (წიფელი I-ხარისხი) მერქნული რესურსის - მრგვალი ხე-ტყის (მორის) საკუთრებაში გაცემასთან დაკავშირებით.
2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესი, აუქციონში მონაწილე პირის ზოგადი უფლება-მოვალეობები და აუქციონის პირობები განისაზღვრება ამ ბრძანების დანართი N1 და დანართი N2-ის შესაბამისად.
3. დაევალოს სააგენტოს ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტს (გ.ბლიაძე) სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“, ვებგვერდზე - [www.eauction.ge](http://www.eauction.ge) ინფორმაციის განთავსება;
4. დაევალოს სააგენტოს საფინანსო და ადმინისტრაციული საქმიანობის მართვის სამსახურს (ბ.კიწმარიშვილი) სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტოს“, ვებგვერდზე - [www.forestry.gov.ge](http://www.forestry.gov.ge) ინფორმაციის განთავსება;
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში (ქ. თბილისი, გულუას ქ. №6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8/18/2017

ეროვნული სატყეო სააგენტო

ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის  
მოადგილე



ნათია იორდანიშვილი